საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 7/00 „23" აპრილი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ალექსანდრე არაყიშვილი

„23"---- 05 ---------- 2011 წელი
ეგზ. N2

ობიექტი:

საქართველოს საელჩოში საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

პერიოდი: 01/01/2010-01/01/2011

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96
ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136;
www.control.ge

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 4
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 5
1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება	გვ. 5
2. გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება	გვ.14
დასკვნა	გვ. 22
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 23
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 23
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 16 ნოემბრის №96/43 და 18 ნოემბრის N173/42 ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს საელჩო საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში. იურიდიული მისამართი: 104, avenue Raymond Poincare, Paris 75016

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯერენაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და მთავარი აუდიტორი ავთანდილ ვასაძე.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 25/11/2010 – 24/01/2011 (დაწყება-დამთავრება).

საელჩოში პასუხისმგებელი პირები:

მამუკა კუდავა - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში;

ქეთევან ედიშერაშვილი - ფინანსური მენეჯერი.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ:

მამუკა კუდავა - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;

ქეთევან ედიშერაშვილი - ფინანსური მენეჯერი.

შემოკლებანი:

საქართველოს საელჩო საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში - საელჩო.

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში - ელჩი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო -სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი -მინისტრი.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- 2010 წელს საელჩოს თანამშრომელთათვის სამივლინებო თანხების არასწორად დარიცხვის გამო, საელჩოს ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურებული იქნა 387 ევრო. აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის შედეგად აღნიშნული თანხა საელჩოს მიერ აღიარებული იქნა დებიტორულ დავალიანებად და ასახული იქნა საელჩოს 2010 წლის ბალანსში.

- 2010 წელს „გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯებში" ორ შემთხვევაში, ზედმეტად იყო დარიცხული თითო დღის სარგო, სულ 183.4 ევრო. აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ საელჩოს თანამშრომლებს დაუკავდათ მათთვის ზედმეტად ანაზღაურებული თანხები.

- საელჩოში არ მოიპოვებოდა ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი, იუნესკოს შენობაში საელჩოსთვის გამოყოფილი ფართისა და პარკირების ადგილის ქირის - 5.8 ათასი ევროს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის შედეგად, იუნესკოს ოფისმა წარმოუდგინა საელჩოს იუნესკოში თანხის გადახდის დამადასტურებელი წერილი.
- 2010 წლის ბალანსში ირიცხება საელჩოში ამჟამად მომუშავე თანამშრომელთათვის ბინის გარანტიის დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 20.1 ათასი ევრო, რაც მოდის 2007-2008 წლებზე, მაშინ როდესაც მინისტრის ბრძანებების შესაბამისად[1] ავანსად გაცემული ბინის გარანტიები დაბრუნებას ექვემდებარებოდა გაცემიდან ექვს თვეში.

---

[1] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებები „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ" (2007-2009 წლები)

- საელჩოში წლის განმავლობაში არ მიმდინარეობდა კონტროლი საწვავის ხარჯვაზე დაწესებული ლიმიტის დაცვაზე, რამაც გამოიწვია 2010 წელს, 739.7 ლიტრი საწვავის, ლიმიტის ზემოთ გახარჯვა.

III. ძირითადი ტექსტი

1. **ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება;**

„საქართველოს საელჩოს საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვით" საელჩოს დაზუსტებულმა ასიგნებამ[2] შეადგინა 835.8 ათასი ევრო (1984.6 ათასი ლარი).

2010 წლის განმავლობაში საელჩოს დაფინანსებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგინა 835.8 ათასი ევრო. მათ შორის:

- უნაღდო ფორმით სამინისტროს მეშვეობით ხაზინიდან მიღებულია 787.5 ათასი ევრო;
- საელჩოს მიერ ადგილზე მიღებულია საკონსულო მოსაკრებლები -25.3 ათასი ევრო (საელჩოში დაფინანსების სახით არის დატოვებული);
- სამოქალაქო რეესტრიდან (საკონსულო შემოსავალი) - მიღებულია 2.4 ათასი ევრო;
- საელჩოს დაფინანსებიდან საელჩოს საჭიროებისათვის სამინისტროს მეშვეობით საქართველოში გაწეულია 6.1 ათასი ევროს ხარჯი[3];
- საელჩოს მიერ შტატგარეშე თანამშრომლებისთვის დაქვითული საშემოსავლო გადასახადი - 14.4 ათასი ევრო საელჩოსთვის არის დატოვებული. ამასთან სამინისტროს მეშვეობით ეს თანხა საელჩოს დაფინანსებიდან არის მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში.

---

[2] დამტკიცებულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს

3 სპეც/კავშირის ღირებულება 4.9 ათასი ევრო, საფოსტო მომსახურება და სხვა - 1.2 ათასი ევრო

საბალანსო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ იხილეთ ცხრილი (ევრო):

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის ბოლოს
	I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	2	17
021	ნაღდი ფული სალაროში (საკონსულო)უცხოურ ვალუტაში	1121	2428	892
040	სავალუტო ანგარიში ბანკში	1212	306	43
090	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის	1222		2002
150	მოთხოვნები მივლინებით	1421		387
160	მოთხოვნები დანაკლისებით	1422	74385	74385
170	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1423	36398	27735
210	სხვა საგადასახადო აქტივი	1433	1343	1343
220	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1441	13488	13488
270	სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1446	19130	21028
	II. არაფინანსური აქტივები			
290	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	149911	144547
300	სხვა ძირითადი აქტივები	2130	429	343
340	სხვა მატერიალური მარაგები	2220	306	
	ბალანსი		**298126**	**286210**
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის ბოლოს
	I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
420	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3224	2428	2894
560	სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები(მ.შ დანაკლისი 74385)	3246	80174	82355
	II. კაპიტალი			
580	წმინდა ღირებულება	5100	215524	200961
	ბალანსი		**298126**	**286210**
	III. საცნობარო მუხლები			
640	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	11460	12920
680	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	85887	99773

საბალანსო ანგარიშებზე ასახული ფინანსური ოპერაციებისა და რიცხული ნაშთების აუდიტით გამოვლინდა:

- 1120 – „ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში" –

- ნაშთი წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს შეადგენს შესაბამისად 2 და 17 ევროს. სალაროში ხდება საკონსულო მოსაკრებლების სალაროში[4] (1121 საბ.ანგარიში - „ნაღდი ფული სალაროში (საკონსულო) უცხოურ ვალუტაში") აკუმულირებული საკონსულო მოსაკრებლებისა და სხვა საკონსულო შემოსავლების ერთი ნაწილის გადმოტანა და მათი გახარჯვა (საკონსულო შემოსავლების მეორე ნაწილი მიემართება „სავალუტო ანგარიშზე ბანკში"-1212 საბალანსო ანგარიში).
- 1212 –„სავალუტო ანგარიში ბანკში" –

  საწყისი ნაშთი 306 ევროდან შემცირებულია 43 ევრომდე (დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯების გაწევის აუცილებლობიდან გამომდინარე).
- 1222- „მიმდინარე ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის" -

  ნაშთი წლის დასაწყისში არ ერიცხებოდათ, ხოლო წლის ბოლოს შეადგინა 2.0 ათასი ევრო. ამ ანგარიშზე ხდება 1120 საბალანსო ანგარიშზე რიცხული ნაღდი ფულის სალაროში შეტანილი საკონსულო მოსაკრებლების გადმოტანა.
- 1421- „მოთხოვნები მივლინებით" –

  ნაშთი წლის დასაწყისში არ ერიცხებოდათ, წლის ბოლოს კი შეადგინა 387 ევრო.

  ეს დებიტორული დავალიანება საელჩოს მიერ დაფიქსირდა აუდიტის ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად (განხილულია აქტის მე-2 საკითხში).
- 1422 – „მოთხოვნები დანაკლისებით"-

  წლის დასაწყისში არსებული ნაშთი -74.4 ათასი ევრო არ შეცვლილა. განმარტებით, ეს ნაშთი მომდინარეობს 2008 წლის ბალანსის ნაშთებიდან და წარმოადგენს 2006 წელს საელჩოში ჩატარებული ინვეტარიზაციის შედეგად წარმოქმნილ დანაკლისს. აქედან 50.4 ათასი ევრო მოდის სამ ავტომანქანაზე, ხოლო 24.0 ათასი ევრო სხვა ძირითად საშუალებებზე.

---

4 ბალანსში ასახულია საბალანსო ანგარიშზე 1121 -ნაღდი ფული სალაროში (საკონსულო) უცხოურ ვალუტაში). ნაშთი წლის დასაწყისში და წლის ბოლოს შეადგენს 2.4 ათს და 0.9 ათას ევროს.

როგორც განმარტეს, აღნიშნულზე საკითხი გადაცემული იყო სამართალდამცავ ორგანოებზე. საკითხის შემდგომი განვითარების თაობაზე ინფორმაცია საელჩოში არ მოიპოვება.

- 1423 - „ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები"- დებიტ.დავალიანებები შემცირდა 36.4 ათასი ევროდან 27.7 ათას ევრომდე.

მნიშვნელოვანია, რომ წლის ბოლოსათვის 20.1 ათასი ევრო (დებიტორულ დავალიანებათა 72.6%) მოდის 2007-2008 წლებში, საელჩოში, ამჟამად მომუშავე თანამშრომელთათვის, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებით, გაცემული საავანსო თანხების დაუბრუნებლობით წარმოშობილ მოთხოვნებზე (იხილეთ ცხრილი):

ბინის გარანტიის დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებათა ცვლილების შესახებ (ევრო)						
N	გვარი სახელი (პირი)	წარმოშობის თარიღი	ნაშთი 1.01.2010	დაფარვა	ნაშთი 1.01.2011	შენიშვნა
1	ე. ენუქიძე	2006 წ. აპრილი	1000	1000	0	დაიფარა 6.05.10წ
2	მ. კუდავა	2007 წ. ივნისი	4738		4738	
3	მ. კუდავა	2008 წ. მარტი	9423		9423	
4	მ. მაჭავარიანი	2008 წ. III კვ.	2100	900	1200	იფარებოდა ნაწილ-ნაწილ
5	ქ.ედიშერაშვილი	2008 წ. I კვ.	5720	1000	4720	"-----"
6	თ. ქარჩავა	2009 წ. IV კვ.	2400	2400	0	"-----"
7	გ. წიქარიშვილი	2009 წ. I კვ.	1900	1900	0	"-----"
	სულ ჯამი		**27281**	**7200**	**20081**	

- 1433-„სხვა საგადასახადო აქტივი" –

წლის დასაწყისში არსებული ნაშთი -1.3 ათასი ევრო არ შეცვლილა. ამ მოთხოვნების წარმოშობის და ამ საბალანსო ანგარიშზე ასახვის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებული სააღრიცხვო დოკუმენტები საელჩოში არ მოიპოვება. როგორც განმარტეს, ეს დოკუმენტები 1422 საბალანსო ანგარიშზე ასახულ დანაკლისთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად, გათხოვილი იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

- 1441-„წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ –

  წლის დასაწყისში არსებული ნაშთი -13.5 ათასი ევრო არ შეცვლილა. ამ მოთხოვნების წარმოშობის დ ამ საბალანსო ანგარიშზე ასახვის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებული სააღრიცხვო დოკუმენტები საელჩოში არ მოიპოვება. როგორც განმარტეს ეს დოკუმენტები 1422 საბალანსო ანგარიშზე ასახულ დანაკლისთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად გათხოვილი იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

- 1446-„სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები“ –

  19.1 ათასი ევროს ოდენობით საწყისი ნაშთი გაიზარდა 21.0 ათას ევრომდე. ბალანსის ფორმა 11-ის მიხედვით ეს არის:

  - 2005 წლის პირველ კვარტალში საელჩოს ყოფილი თანამშრომლების: ლ.ხეჩუაშვილის, ნ.ჯაფარიძის, ნ.კვაჭაძის დებიტორული დავალიანებები (შესაბამისად 0.3, 1.3 და 0.8 ათასი ევროს ოდენობით - სულ 2.4 ათასი ევრო), რაც წარმოშობილია 2005 წლის პირველ კვარტალში (საკითხი დაყენებულია სამინისტროს წინაშე 2008 წლის აგვისტოს N2/204-1 და აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციით 2011 წლის 5 იანვრის N2/1052-01 წერილებით, რითაც სამინისტროსგან ითხოვდნენ შემდგომ მითითებებს).

  - სამინისტროს მიერ საელჩოს დაფინანსებიდან თბილისში გახარჯული 3.7 ათასი ევროს ექვივალენტი სპეც.კავშირის დაყენებისთვის, რისი შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი საელჩოში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად ფაქტობრივი ხარჯი არ გაწეულა და 2007 წლის პირველ კვარტალში წარმოიშვა დებიტორული დავალიანება;

  - იუნესკოდან 2008 წლის მე-2 კვარტალში, როგორც განმარტეს, შეცდომით მოხსნილი 5.5 ათასი ევრო, რაც იმის შემდეგ არ აღდგენილა;

- სასტუმროს დაჯავშნისა და შემდგომ გამოუყენებლობის გამო სასტუმროს მიერ ჩამოჭრილი ჯავშნის თანხა 7.3 ათასი ევრო და
- უსაბუთო 0.3 ათასი ევრო, წარმოშობილია 2007 წლის მე-3 კვარტალში.

წლის დასაწყისში რიცხული არც ერთი ზემოაღნიშნული დავალიანება არ დაფარულა, ხოლო უსაბუთო დავალიანება გაიზარდა 2010 წლის მე-3 კვარტალში 0.9 ათასი ევროთი, რაც წარმოადგენს ავიაკომპანია „იზიჯეტ"-ის მიერ დაუსაბუთებლად ჩამოჭრილ თანხას, რაც გარკვევის პროცესშია.

- 2120-მანქანა-დანადგარები და ინვენტარის ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 150.3 ათას ევროს, წლის განმავლობაში შესყიდულია 22.0 ათასი ევროს ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები (2007 და 2008 წლებში შესყიდული 4 ავტომობილის ლიზინგის თანხა - 21.5 ათასი ევრო, რომელთა საბალანსო ღირებულება იზრდება ყოველწლიური გადახდილი ლიზინგის თანხით) და 0.5 ათასი ევროს ღირებულების კომპიუტერი, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან გაცემული 2,8 ათასი ევროს სხვა მანქანა-დანადგარები (4 ორდენი) პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე. წლის განმავლობაში დარიცხულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება 24.8 ათასი ევროს ოდენობით. წლის ბოლოს ნაშთი შეადგენს 144.9 ათას ევროს. მათ შორის: 122.0 ათასი ევროს ღირებულების 11 ავტომანქანა და 22.9 ათასი ევროს ღირებულების სხვა ძირითადი საშუალებები.
  აღსანიშნავია, რომ ელჩის 2010 წლის 25 იანვრის N221/2-01 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ ჩაატარა საელჩოს საბალანსო ანგარიშებზე არსებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. წარმოდგენილია ინვენტარიზაციის შედეგები საინვენტარიზაციო უწყისის სახით, რომლის შედეგად, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და სახეზე არსებულ ინვენტარს შორის სხვაობა არ გამოვლენილა.

- 2130 - სხვა ძირითადი აქტივები -

0.4 ათასი ევროდან (ორისის პროგრამა) ცვეთის დარიცხვის შედეგად შემცირდა 0.3 ათას ევრომდე.

- 2220 - სხვა მატერიალური მარაგები -

  ნაშთი 0.3 ათასი ევროდან განულდა (ორდენების სამაგრები გადაცემულია პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე).

- 3224 - ბიუჯეტის წინაშე სხა ვალდებულებები -

  ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 2.4 ათას ევროს, რაც წარმოადგენდა ადგილზე მიღებულ საკონსულო მოსაკრებელს, წლის ბოლოს კი ნაშთმა ანგარიშზე შეადგინა 2.9 ათასი ევრო.

- 3246 -სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები -

  წლის დასაწყისში ერიცხებოდათ 80.2 ათასი ევროს ოდენობით. მათ შორის: 0.3 ათასი ევრო ოფისის ქირა (წარმოშობილია 1996 წელს); 5.2 ათასი ევრო - იუნესკოს მიმართ დავალიანება ოფისის ქირის (წარმოშობილია 1996-იდან 2004 წლის ჩათვლით); 0.2 ათასი ევრო იუნესკოს ქირის ნარჩენი დავალიანება (წარმოშობილია 2004 წელს); წლის ბოლოს კი ამ დავალიანებებს დაემატა ფაქსის იჯარის გადასახადი 2.1 ათასი ევრო. სულ კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 7.9 ათასი ევრო, ხოლო დანაკლისთან ერთად (74,4 ათასი ევრო) ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 82.3 ათასი ევრო.

რაც შეეხება 2010 წლის დეკემბერში წარმოშობილ 2.1 ათასი ევროს ოდენობით კრედიტორულ დავალიანებას-იგი შემდეგნაირად წარმოიშვა:

საელჩოს 2007 წელს, ორგანიზაცია „copwel''-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით აღებული აქვს ფაქსის აპარატი CANON -ი, რის საფუზველზეც საელჩო ყოველთვიურად (ავტომატური რეჟიმით) იხდიდა 672 ევროს. 2010 წლის აპრილის თვიდან აღნიშნული კომპანია შეიძინა ორგანიზაცია „lorequip bail''-მა, სადაც გაფორმდა ახალი ხელშეკრულება და საელჩოს ყოველთვიურმა გადასახადმა შეადგინა 727 ევრო. აღმოჩნდა, რომ ბანკი საელჩოს ავტომატურად აჭრიდა ორივე კომპანიის თანხას, რის გამოც საელჩო იძულებული გახდა ბანკთან

გაეუქმებინა ავტომატურად ჩამოჭრის რეჟიმი. აღნიშნული სიტუაციის გარკვევამდე, ძველ კომპანიას საელჩოს მიმართ გადასახდელი გაუხდა 4036.50 ევრო, ხოლო საელჩოს მიერ გადასახდელმა თანხამ კი შეადგინა 2181.15 ევრო.

აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საელჩომ გაატარა გარკვეული ღონისძიებები, რის შედეგადაც 2010 წლის 29 დეკემბერს საელჩომ ჩეკის სახით მიიღო 4036.50 ევრო, ხოლო საელჩოს მხრიდან დარჩენილი ვალის (2181.15 ევროს) გადარიცხვა ვერ მოხერხდა კომპანიის ბრალეულობის გამო, ვინაიდან წლის ბოლომდე ვერ მოახერხა საბანკო რეკვიზიტების მოწოდება.

ხელშეკრულებაში ჩადებულია, რომ საიჯარო გადასახადი მოიცავს უფასო ტექნიკურ მომსახურებასა და ტექნიკის გამართულ სამუშაო რეჟიმში ყოფნისათვის საჭირო ატრიბუტიკით (კარტრიჯებით) უფასოდ უზრუნველყოფას, ასევე პერიოდულად ახალი მოდელის ქსეროქსით შეცვლას. ამასთან აღსანიშნავია, რომ სულ ფაქსის იჯარის გადასახადი 2007-2010 წწ შეადგენს 39897 ევროს.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, 39.9 ათასი ევროს ღირებულებით შესაძლებელი იყო ფაქსის საკუთარი აპარატის შეძენა, რაც ასახული იქნებოდა საელჩოს ძირითად აქტივებში და განხორციელდებოდა ფაქსის იჯარისათვის გაწეული გარკვეული თანხების დაზოგვა.

ასევე აუდიტით დადგინდა, რომ 2008 წლიდან, საელჩოს საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანია „copwel"-თან, საელჩოს კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფის შესახებ (3 ცალი პორტატული კომპიუტერი და 5 სტაციონარი), რაშიც იხდიდა კვარტალურად 1481 ევროს (სულ კომპიუტერის იჯარის თანხა 2008-2010 წწ შეადგენს 11874 ევროს).

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, 11.9 ათასი ევროს ღირებულებით შესაძლებელი იყო საკუთარი კომპიტერული ტექნიკის შესყიდვა, რაც ასახული იქნებოდა საელჩოს ძირითად აქტივებში და შესაძლებელი იქნებოდა კომპიუტერული ტექნიკის იჯარის გარკვეული თანხების დაზოგვა.

- წმინდა ღირებულება წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 215.5 ათას ევროს. დებეტი -12 თვეში: საქონელი და მომსახურებით ხარჯებში ჩამოიწერა 822.3 ათასი ევრო, ძირითადი კაპიტალის მოხმარება 24.8 ათასი ევრო, ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა 2.8 ათასი ევრო, მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა - 0.3 ათასი ევრო, ბიუჯეტის მიმართ სხვა ვალდებულებები -28.3 ათასი ევრო. კრედიტი 12 თვეში: ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შეადგენდა 835.8 ათას ევროს, სხვა შემოსავლები-27.9 ათას ევროს და წლის ბოლოს წმინდა ღირებულებამ შეადგინა 200.7 ათასი ევრო.

- საცნობარო მუხლი 04 – „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში" - ნაშთი 11.5 ათასი ევრო გაიზარდა 1.5 ათასი ევროს ღირებულების შეძენილი მცირეფასიანი საქონლით და ნაშთმა წლის ბოლოს შეადგინა 12.9 ათასი ევრო.

- საცნობარო მუხლი 08- „ამორტიზირებული ძირითადი აქტივები"- ბალანსის საწყის ნაშთად დაფიქსირებული იყო 85.9 ათასი ევრო[5], ხოლო 2010 წლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 99.7 ათას ევროს.

რეკომენდაცია

- 1422 – „მოთხოვნები დანაკლისებით"- საბალანსო ანგარიშზე წლების განმავლობაში რიცხულ 74.4 ათასი ევროს დანაკლისთან დაკავშირებით საელჩომ მიმართოს სამინისტროს, რათა გაირკვეს ამ ნაშთის ლიკვიდურობის (აღდგენის) საკითხი და/ან საბალანსო ანგარიშიდან ჩამოწერის შესაძლებლობა.
- საელჩომ, სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს საელჩოს თანამშრომლების მიერ ბინის გარანტიის თანხების დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი 20.1 ათასი ევროს ოდენობით რიცხული დებიტორული დავალიანებების დაფარვის გრაფიკი და

[5] როგორც განმარტეს მექანიკური შეცდომის გამო 2009 წლის ბოლოსათვის დაფიქსირებული იყო 2009 წლის საწყისი ნაშთი -85.9 ათასი ევრო, თუმცა დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო 96.0 ათასი ევრო,

გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყოს დავალიანებების დაფარვა, გონივრულ ვადებში, რათა ამ თანამშრომელთა შემდგომი როტაციის შემთხვევაში, თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ფაქტები.

- საელჩომ მიმართოს სამინისტროს, რათა საელჩოს მიეწოდოს 1433-„სხვა საგადასახადო აქტივი“, 1441-„წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ და 1446 -„სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები“-საბალანსო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესაბამისი ინფორმაცია, მასალები და შემდგომი მითითებები.
- საელჩომ მიმართოს სამინისტროს და მიაწოდოს მას აუდიტის ჯგუფის მოსაზრებები, ფაქსისა და კომპიუტერული ტექნიკის, იჯარის ხელშეკრულების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. საელჩომ განიხილოს ზემოაღნიშნული საკითხი სამინისტროსთან ერთად და მიიღოს ეკონომიურად დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2. გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება;

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მუხლებში, გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, ხარჯების გაწევა საელჩოს მიერ შემდეგნაირად მიმდინარეობდა (ევრო):

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯის მეტობა(+) /ნაკლებობა(-)	ფაქტ. ხარჯი	ფაქტ. ხარჯის მეტობა(+) /ნაკლებობა(-)
მთლიანი ხარჯი (I+II+III)	**835844.68**	**835785.12**	**-59.56**	**847015.93**	**11171.25**
I. მიმდინარე ხარჯები საქონელზე და მომსახურებაზე	**835244.42**	**835322.22**	**77.80**	**822260.93**	**-12983.49**
ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის ანაზღაურება	**97243.64**	**97200.00**	**-43.64**	**97200.00**	**-43.64**
მივლინებები	**444314.19**	**443947.43**	**-366.76**	**452227.60**	**7913.41**
გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯები	420245.38	412800.62	**-7444.76**	420000.62	**-244.76**
როტაციის ხარჯები	888.40	888.00	**-0.40**	888.00	**-0.40**
შვებულების ხარჯები	12005.39	10684.12	**-1321.27**	11901.48	**-103.91**
მოკლევადიანი მივლინებების ხარჯები	11175.01	19574.69	8399.68	19437.50	8262.49

ოფისის ხარჯები	**145927.89**	**155568.44**	**9640.55**	**155568.44**	**9640.55**
საკანცელარიო საქონელი		5952.54		5952.54	
მცირეფასიანი საქონლის შეძენა (სამ-ეო საქონელთან ერთად)		4186.30		4186.30	
შენობა - ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე შეკეთება		200.00		200.00	
ბეჭდვითი პერიოდული ლიტერატურის გამოწერა-შეძენის ხარჯები		3716.43		3716.43	
ოფისის იჯარა		83821.87		83821.87	
ელექტროენერგიის ხარჯები		1904.40		1904.40	
ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯები, ადგილობრივი სატელეფონო ქსელის სააბონენტო ხარჯები და სპეცკავშირის ხარჯები		50101.19		50101.19	
ინტერნეტით სარგებლობის ხარჯები		328.99		328.99	
საფოსტო მომსახურების ხარჯები		5276.72		5276.72	
სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯი:		80.00		80.00	
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები	**41418.59**	**40269.76**	**-1148.83**	**39269.76**	**-2148.83**
საწვავის შეძენის ხარჯები		23475.08		22475.08	
მიმდინარე რემონტი		12824.03		12824.03	
სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯი		1778.96		1778.96	
პარკინგი		221.00		221.00	
ფასიანი გზები		570.70		570.70	
რეცხვა		1399.99		1399.99	
წარმომადგენლობითი ხარჯები	**46020.65**	**41042.80**	**-4977.85**	**41042.00**	**-4978.65**
სხვა ხარჯები	**60319.47**	**57293.79**	**-3025.68**	**36953.13**	**-23366.34**
ბანკის მომსახურების ხარჯები	600.27	2390.62	**1790.35**	2390.62	**1790.35**
სატრანსპორტო საშუალებების ლიზინგის წესით შეძენილი ხარჯები	18943.70	21623.63	**2679.93**	0.00	**-18943.70**
კომპიუტერული და ორგტექნიკის იჯარით სარგებლობის ხარჯები	16663.48	8707.87	**-7955.61**	10889.02	**-5774.46**
ა/მანქანების დაზღვევის ხარჯები	20389.15	19014.49	**-1374.66**	19014.49	**-1374.66**
სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები	3722.87	5557.18	**1834.31**	4659	**936.13**
II. არაფინანსური აქტივების ზრდა	**600.27**	**462.90**	**-137.37**		**-600.27**
მანქანა-დანადგარებისა, მოწყობილობების, სატრანსპორტო და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	600.27	462.90	**-137.37**		**-600.27**

III. ძირითადი კაპიტალის მოხმარება			0.00	24755.00	24755.00

- „ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის ანაზღაურებისთვის“ დამტკიცებული იყო 97.2 ათასი ევრო. გაწეული იქნა 97.2 ათასი ლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.

  ხარჯები გაწეულია ხუთ ხელშეკრულებით მომუშავეზე, რომელთაგანაც ორს არ უკავდება საშემოსავლო გადასახადი, რადგან ერთი მათგანი საფრანგეთის მოქალაქეა, ხოლო ერთი - საელჩოში მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციას, წარადგენს ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში მისი შემდგომი დაბეგვრის მიზნით.

  დანარჩენი სამი თანამშრომლისთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი - 14.4 ათასი ევრო მიმართულია საქართველოს ბიუჯეტში[6].

- „გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯებში“ - დამტკიცებული 420.2 ათასი ევროს პირობებში, გაწეულია 412.8 ათასი ევროს ოდენობით საკასო და 420.0 ათასი ევროს ოდენობით ფაქტობრივი ხარჯები. წლის განმავლობაში მოსამსახურეთათვის დაკავებულია 7.2 ათასი ევრო, რითაც დაფარულია წინა წლის დებიტორული დავალიანებები (ბინის გარანტია). ხარჯები გაწეულია საელჩოს 9 თანამშრომელზე, მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად[7].

---

[6] საქართველოს ბიუჯეტში მიმართულია სამინისტროს მიერ საელჩოს დაფინანსებიდან.

[7] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“;

ორ შემთხვევაში, ზედმეტად იყო დარიცხული თითო დღის სარგო, სულ 183.4 ევრო.

საელჩოს მიერ გათვალისწინებული იქნა აუდიტის ჯგუფის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ორ თანამშრომელს დაუკავდათ მათთვის ზედმეტად ანაზღაურებული თანხები.

- „შვებულების" ხარჯებისთვის დამტკიცებული იყო 12.5 ათასი ევრო, რის ფარგლებშიც გაწეულია 10.7 ათასი ევროს საკასო და 11.9 ათასი ევროს ფაქტობრივი ხარჯები, სხვაობა გამოწვეულია წინა წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების დაფარვით 1.2 ათასი ევროს ოდენობით (არ იყო წარმოდგენილი ავიაბილეთები). აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის შედეგად დავალიანება აღმოფხვრილი იქნა.

- „მოკლევადიანი მივლინების ხარჯები", დამტკიცებული 11.2 ათასი ევროს პირობებში, გაწეულია 8.4 ათასი ევროთი მეტად, ანუ 19.6 ათასი ევროს ოდენობით, ხოლო ფაქტობრივი ხარჯები -19.4 ათასი ევროს ოდენობით -გეგმაზე 8.3 ათასი ევროთი მეტად.

ამასთან წლის განმავლობაში ადგილი ქონდა სამივლინებო თანხების არასწორად დარიცხვა-ანაზღაურების შემთხვევებს, რაც აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ საელჩოს მიერ შესწორებული იქნა და მოსამსახურეებს დებიტორული დავალიანების სახით დაუფიქსირდათ სულ 387 ევრო. მათ შორის:

ა) 6 შემთხვევაში საელჩოს თანამშრომლებს, მათი მივლინებისას მონაკოსა და პორტუგალიაში, სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების სადღეღამისო ნორმად განესაზღვრათ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით, მონაკოსა და პორტუგალიაში მოკლევადიანი მივლინებისას განსაზღვრული სადღეღამისო

ნორმებით-შესაბამისად 38 და 34 ევრო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების, სადღეღამისო ნორმებით, შესაბამისად 121 და 127 ევრო.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს საელჩო საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივი წარმომადგენლობა იუნესკოში მდებარეობს საფრანგეთში - ქ.პარიზში, აუდიტის ჯგუფი, დაეყრდნო ზემოაღნიშნული ბრძანებულების მე-4 პუნქტსა და ბრძანებულების დანართ N 2-ს და საელჩოს მისცა რეკომენდაცია, რომ თანამშრომლებს ანაზღაურებოდათ ბრძანებულების დანართ N2-ში საფრანგეთში მივლინებისათვის განსაზღვრული ნორმებით, ანუ სადღეღამისო 40 ევრო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის - 97 ევრო, ყოველდღიურად.

საელჩომ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია, რის შედეგადაც საელჩოს თანამშრომლებს დასაბრუნებლად განესაზღვრათ 198 ევრო, ხოლო თანამშრომლებისთვის ასანაზღაურებლად 48 ევრო. ჯამში კი თანამშრომლებს ასანაზღაურებლად დაუფიქსირდათ 150 ევრო.

ბ) ორ შემთხვევაში საელჩოს თანამშრომელს საფრანგეთის შიგნით (კანში და ლიონში) მივლინებისას საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები ანაზღაურებული ჰქონდა სასტუმროდან წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით (ერთ შემთხვევაში 154 ევრო დღეში, მეორე შემთხვევაში- 182 ევრო დღეში).

აუდიტის ჯგუფი, დაეყრდნო რა ზემოაღნიშნული ბრძანებულების დანართ N 2-ს, საელჩოს მისცა რეკომენდაცია, რომ ამ შემთხვევებში, ამ თანამშრომელს უნდა ანაზღაურებოდა საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ნორმა საფრანგეთის დანარჩენ ტერიტორიაზე-97 ევრო ყოველდღიურად, ანუ 107.4 ევროთი ნაკლები, რაც გაითვალისწინეს და დააფიქსირეს დებიტორულ დავალიანებად.

საელჩოს მიერ ასევე იქნა გათვალისწინებული აუდიტის ჯგუფის რეკომენდაცია, ერთ შემთხვევაში საფრანგეთის შიგნით მივლინებისას თანამშრომლისათვის ნაკლებად ანაზღაურებული 6 ევროს აღდგენის თაობაზე.

სულ ა) და ბ) შემთხვევებში დაფიქსირდა 251.4 ევროს ოდენობით დებიტორული დავალიანება. იხილეთ ცხრილი (ევრო):

N	გვარი	მივლინება ქვეყანაში	დღეების რაოდენობა	ფაქტიური დარიცხვა (ანაზღაურება) (ევრო)					დარიცხვა საფრანგეთის შიგნით მივლინებისთვის დადგენილი განაკვეთებით (ევრო)					მეტად(+)/ნაკლებად(-) არის ანაზღაურებული (ევრო)
				სადღეღამისო დღეში (ევრო)	სულ სადღეღამისო	სასტუმრო ღეში	სულ სასტუმრო	სულ	სადღეღამისო ღეში	სულ სადღეღამისო	სასტუმრო ღეში	სულ სასტუმრო	სულ	
1	ენუქიძე	მონაკო	3	38	114	95	190	304	40	120	97	194	314	-10
2	ჯავახიშვილი	პოტუგალია	4	34	136	127	381	517	40	160	97	291	451	66
3	ჯავახიშვილი	საფრანგეთი	1	34	34	0	0	34	40	40	0	0	40	-6
4	ენუქიძე	საფრანგეთი	2	40	80	154	154	234	40	80	97	97	177	57
5	კუდავა	პოტუგალია	5	34	170		0	170	40	200		0	200	-30
6	წიქარიშვილი	პოტუგალია	5	34	170	127	508	678	40	200	97	388	588	90
7	წიქარიშვილი	მონაკო	3	38	114	121	242	356	40	120	97	194	314	42
8	ენუქიძე	საფრანგეთი	3	0	0	182	364	364	40	120	97	194	314	50.4
9	კუდავა	მონაკო	4	38	152		0	152	40	160		0	160	-8
	სულ							2809					2558	251.4

გ) საელჩოში წარმოდგენილი ტაქსით მგზავრობის ქვითრების საფუძველზე, მივლინების ხარჯების სახით ანაზღაურებულია 53 ევრო.

აუდიტის ჯგუფი, დაეყრდო რა ზემოაღნიშნული ბრძანებულების მე-7 პუნქტს და დანართი N3-ის შენიშვნების მე-5 პუნქტს, ჩათვალა, რომ მივლინებული თანამშრომელი თანამდებობრივად არ მიეკუთვნებოდა ამ შენიშვნაში მოყვანილ თანამდებობათა ჩამონათვალს, ასევე არ იყო (ამ შენიშვნაში გათვალისწინებული) სამთავრობო დელეგაციის მოსამზადებლად მივლინებული ქვეყნის გარეთ, ამიტომ არ უნდა ანაზღაურებოდა ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები.

საელჩოს მიერ გათვალისწინებული იქნა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია, რის შედეგადაც საელჩოს თანამშრომელს დაუფიქსირდა დებიტორული დავალიანების სახით 53 ევრო.

დ) ორ შემთხვევაში საელჩოს თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ სასტუმროს ინვოისები, რომელშიც შესულია 82.5 ევროს ოდენობით სასტუმროს ნომერში კვების ღირებულება (Room Service) და ეს თანხა ანაზღაურებულია, როგორც

საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი (ამ შემთხვევაში ცალკეა ანაზღაურებული სადღეღამისო ხარჯები) .

აუდიტის ჯგუფი, დაეყრდნო რა ზემოაღნიშნული ბრძანებულების მე-7 პუნქტს, საელჩოს მისცა რეკომენდაცია, რომ ამ შემთხვევებში არ უნდა ანაზღაურებულიყო 82.5 ევრო.

საელჩომ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია, რის შედეგადაც საელჩოს თანამშრომლებს დაუფიქსირდათ დებიტორული დავალიანების სახით 82.5 ევრო.

- „სხვა ხარჯების" მუხლში დამტკიცებული იყო 60.3 ათასი ევროს ხარჯი, გაწეულია 57.3 ათასი ევროს საკასო და 37.0 ათასი ევროს ფაქტობრივი ხარჯები. აქედან „ავტომანქანების დაზღვევის ხარჯები"-ს გეგმა შეადგენდა 3.5 ათასი ევროს (3.2 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯი), ხოლო „ბანკის მომსახურების ხარჯები"-ს გეგმა 0.6 ათას ევროს (0.3 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯი).

- „ოფისის ხარჯების„ მუხლში გეგმა შეადგენდა 145.9 ათას ევროს. საკასო და ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 155.5 ათასი ევრო, ანუ გეგმის გადამეტებით გაწეულია 9.6 ათასი ევროს ხარჯი.

ამ მუხლში შემავალ ზოგიერთ ქვემუხლში ხარჯები შემდეგნაირად გაიწია:

- „ოფისის ხარჯების„ მუხლში შემავალი „საოფისე იჯარის" მუხლში წლის განმავლობაში გაწეული იქნა 85.7 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯი, აქედან ოფისის იჯარაზე გაწეულია 83.8 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.

საელჩოში არ მოიპოვებოდა ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი, იუნესკოს შენობაში საელჩოსთვის გამოყოფილი ფართისა და პარკირების ადგილის ქირის - 5.7 ათასი ევროს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად, საელჩოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2011 წლის იანვარში საელჩოდან

წარმოდგენილი იქნა ახსნა-განმარტება, რომელსაც თანდართული აქვს იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს 1998 წლის 17 და 22 აგვისტოს გადაწყვეტილებები საქართველოს წარმომადგენლობაზე თანხის გამოყოფის შესახებ, სადაც პირველ მათგანში ნათქვამია, რომ საიჯარო თანხა შეადგენს 19852 ფრანკს, ხოლო მეორეში კი ნათქვამია, რომ საბჭო თვითონ ადგენს ოფისისა (14 კვ.მ) და პარკინგის ფასს. ახსნა განმარტებაში (ხელს აწერს ელჩი, ფინანსური მენეჯერი, უფროსი მრჩეველი - ე.ენუქიძე) ნათქვამია, რომ მას ახლავს წერილი, იმის თაობაზე, რომ საელჩოს 2010 წელს ნამდვილად გადახდილი აქვს 5785.62 ევრო.

„ოფისის ხარჯების" მუხლში გაწეული ხარჯებიდან 50.1 ათასი ევრო მოდის, ადგილობრივი სატელეფონო ქსელის სააბონენტო ხარჯებზე (11.6 ათასი ევრო), სპეცკავშირის ხარჯებზე (4.9 ათასი ევრო) და ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯებზე (33.6 ათასი ევრო).

- „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები"-ის მუხლში გეგმა შეადგენდა 41.4 ათას ევროს. გაწეულია 40.3 ათასი ევროს საკასო და 39.4 ათასი ევროს ფაქტობრივი ხარჯები. აქედან საწვავის შეძენაზე შესაბამისად მოდის 23.5 ათასი (1.0 ათასი ევრო გარანტიის თანხაა, რომელიც ანაზღაურდება მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ) და 22.5 ათასი ევრო.

აღსანიშნავია, რომ საელჩოს ბალანსე რიცხულ 8 ავტომანქანაზე წლის განმავლობაში გახარჯულია სულ 21.3 ათასი ლიტრი საწვავი, რაც საერთო ჯამში ამ ავტომანქანებისთვის განსაზღვრული ლიმიტის - 25.2 ათასი ლიტრის ფარგლებშია გახარჯული, თუმცა ორ ავტომანქანაზე დადგენილ ლიმიტზე მეტად წლის განმავლობაში გახარჯულია 739.7 ლიტრი.

საელჩოში წლის განმავლობაში არ მიმდინარეობდა კონტროლი დაწესებული ლიმიტის დაცვაზე. წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მომხდარა ელჩის სახელზე მოხსენებითი ბარათით მიმართვა, ლიმიტს ზემოთ საწვავის გახარჯვის

მოტივაციის წარდგენით და შესაბამისად არ მიღებულა შუალედური თანხმობები ლიმიტის დაღრვევების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

მხოლოდ აუდიტის პროცესში იქნა წარმოდგენილი ელჩის თანხმობა ლიმიტს ზემოთ საწვავის ხარჯვის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

გაირკვა, რომ საელჩო ადგილობრივ საგადასახადო სამსახურს დღგ-ს ჩათვლებისათვის შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებს წარუდგენს მხოლოდ 2-ჯერ წელიწადში, რაც იწვევს საელჩოსთვის კუთვნილი თანხების დაგვიანებით დაბრუნებას საელჩოს ანგარიშზე.

რეკომენდაცია

- საელჩომ ხარჯების გაწევისას დაიცვას, მინისტრის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით კონკრეტულ მუხლებში დადგენილი გეგმიური მაჩვენებლები.
- საელჩომ სამივლინებო თანხების დარიცხვა-ანაზღაურებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.
- საელჩომ საწვავის ხარჯვისას არ დაუშვას დადგენილი ლიმიტის ზევით საწვავის ხარჯვა, ლიმიტის დაცვაზე დააწესოს ყოველთვიური კონტროლი.
- საელჩომ ყოველკვარტალურად მოახდინოს დღგ-ს ანაზღაურებასთან დაკავშირებული ოპერაციები, რათა დროულად მოხდეს მინიმუმ სამი კვარტლის დღგ-ს თანხების დაბრუნება და მათი დაფინანსების სახით გამოყენება იმავე წელს.

დასკვნა

საქართველოს საელჩოს საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა იუნესკოში ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის

შედეგად გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილი წლიური ბალანსი სამართლიანდ წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, იმ დაშვებით, რომ ბალანსში დაფიქსირებული საბალანსო ანგარიშების წლის დასაწყისის ნაშთები რეალურია.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეპარტამენტის უფროსი: **ხელმოწერა/თარიღი**

გიორგი ჯერენაშვილი

23.03.2011ნ

მთავარი აუდიტორი: **ხელმოწერა/თარიღი**

ავთანდილ ვასაძე

23.03.2011ნ.

დანართი A - გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N914 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.